ჩემი უმმათის ყველა წევრი იქნება კეთილდღეობაში, გარდა იმათი, ვინც აშკარად სცოდავს

აბუ ჰურაირამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: მოვისმინე, რომ ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ჩემი უმმათის ყველა წევრი იქნება კეთილდღეობაში, გარდა იმათი, ვინც აშკარად სცოდავს. აშკარა ცოდვად მიიჩნევა ის, რომ ადამიანი ღამით ჩადის რაიმე [ცოდვას] და ალლაჰი ფარავს თავის მორჩილს, ხოლო ის დილით [თავის თავს ამცირებს] და ამბობს: „ო, ასეთო და ისეთო! გუშინ ეს და ეს ჩავიდინე". ანუ ღამით მისი უფალი ფარავს მას, ხოლო დილით ის თვითონ ხდის საფარველს, რომლითაც ალლაჰმა [წინა ღამეს] დაფარა».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ ცოდვაში ჩავარდნილი მუსლიმისთვის ალლაჰის შეწყალება და მიტევება მოსალოდნელია, გარდა იმ პირისა, ვინც სიამაყითა და უტიფრობით საჯაროდ აცხადებს თავის ცოდვებს. ასეთი ადამიანი ღამით ცოდვას ჩაიდენს, ალლაჰი მას ფარავს, მაგრამ დილით თვითონ ამხელს საკუთარ თავს და სხვა ადამიანებს უყვება, რა ცოდვა ჩაიდინა წინა დღეს. ამგვარად, ის ალლაჰის საფარველს თვითონ ხსნის!

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3756

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee